წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა

პირველადი წარმოების თანადაფინანსების კომპონენტი

მრავალწლოვანი კულტურების გაშენების ქვეკომპონენტი, მრავალწლოვანი ბაღების თანადაფინანსების მიმართულება

- უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ამონაწერი სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის შესახებ;
- მიწის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა), სახელმწიფო იჯარის შემთხვევაში ამონაწერთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს იჯარის ხელშეკრულება (იჯარის დარჩენილი პერიოდი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 10 წელს, იჯარის ხელშეკრულება უნდა იყოს რეგისტრირებული სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში);
- სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ ნიადაგის ლაბორატორიულ ანალიზზე დაყრდნობით გაცემული ცნობა განაცხადით გათვალისწინებული ყველა მრავალწლოვანი კულტურისათვის მიწის ნაკვეთის ნიადაგის ვარგისიანობისა და შესაბამისობის შესახებ;
- სანერგე მეურნეობიდან წარმოდგენილი ხელშეკრულება ან/და ინვოისი ქართულ ენაზე/ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე (იმპორტის შემთხვევაში), რომელიც აუცილებელი წესით უნდა შეიცავდეს შემდეგ პირობებს:
    - სანერგე მეურნეობის სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ.ფოსტა);
    - პოტენციური ბენეფიციარის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი;
    - ნერგების მიწოდების ვადები;
    - კულტურის დასახელება და ჯიში;
    - ნერგის მახასიათებელი - ნერგის მიწისზედა ნაწილის სიმაღლე, ნერგის ფესვის ყელთან/ნამყენთან შტამბის დიამეტრი, ნერგის ფორმა A - შიშველფესვიანი B - კონტეინერიზებული, ნერგის ტიპი;
    - ერთეული ნერგის ღირებულება ვალუტის მითითებით;
    - ჯამური ნერგების რაოდენობა და ჯამური თანხა;
    - სანერგე მეურნეობამ აუცილებელი წესით უნდა მიუთითოს ინვოისში ან/და ხელშეკრულებაში, რომ ნერგი, რომელსაც ის მიაწვდის მყიდველს, იქნება ეტიკეტირებული და ექნება სერთიფიკატი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- შესასყიდი წვეთოვანი სარწყავი სისტემის ინვოისები ან/და ხელშეკრულება ქართულ ენაზე/ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე;

- საყრდენი სისტემის მოწყობის ინვოისები ან/და ხელშეკრულება ქართულ ენაზე/ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ნერგის შტამბის დამცავების ან/და ნერგების სამაგრი ჭიგოების/სარების ინვოისები ან/და ხელშეკრულება ქართულ ენაზე/ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- აგრო (გეო) ტექსტილის ფირის ინვოისები ან/და ხელშეკრულება ქართულ ენაზე/ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ქოთნის და სუბსტრატის ინვოისები ან/და ხელშეკრულება ქართულ ენაზე/ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (მხოლოდ ლურჯი მოცვის კულტურისთვის);
- მცენარის პირველი წლის მოვლის საშუალებების ინვოისები ან/და ხელშეკრულება ქართულ ენაზე/ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ელექტროგენერატორის ინვოისები ან/და ხელშეკრულება ქართულ ენაზე/ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- აგრომეტეოსადგურის ინვოისები ან/და ხელშეკრულება ქართულ ენაზე/ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მომსახურების მომწოდებელ ფიზიკურ პირთან ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მეწარმე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება ან/და ინვოისი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- პოტენციური ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა/ამონაწერი ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა საფინანსო ინსტიტუტიდან კრედიტის დამტკიცების თაობაზე ან/და ცნობა საფინანსო ინსტიტუტიდან შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებების კომპონენტის ფარგლებში გასაცემი სესხის პარამეტრების შესახებ (გაცემული სააგენტოში განაცხადის წარმოდგენამდე არაუმეტეს 30 კალენდარული დღით ადრე);
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული დამფუძნებლების/მეპაიეთა კრების ოქმი თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმებისა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღების შესახებ;
- ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ ან ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არაუმეტეს 1 000 ლარის დავალიანების შესახებ ან შესაბამისი დოკუმენტი სახელმწიფოს წინაშე საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების ან მისი გადახდის ვალდებულების შესაბამისი კანონის საფუძველზე შეჩერების შესახებ (გაცემული სააგენტოში განაცხადის წარმოდგენამდე არაუმეტეს 30 კალენდარული დღით ადრე);

- პოტენციური ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტები;
- სხვა დამატებითი დოკუმენტაცია სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში.